ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N20

2022 წლის 7 სექტემბერი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში მიღებული იქნას ცნობად.
2. ონის მუნიციპალიტეტის მერმა (სერგო ხიდეშელი) გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სისტემური აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მიზნით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გივი მეტრეველს.
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.
5. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბ. ბ. ბ